

შეთანხმება
მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას
შორის განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა, შემდგომში წოდებულნი, როგორც „მხარეები“;

სურთ რა დაამყარონ და გააძლიერონ თანამშრომლობა განათლებისა და კულტურის სფეროში ორ ქვეყანას შორის;

სწამთ რა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა გააღრმავებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგებას;

აღიარებენ რა იმ მექანიზმის ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო ინტერესის მქონე სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებას, ასევე, აღიარებენ კონკრეტული თანამშრომლობის პროგრამების შესრულებისა და განათლებისა და კულტურის სფეროში გაცვლების საჭიროებას, ახალი საერთაშორისო განვითარებების დინამიკის ფარგლებში.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

წინამდებარე შეთანხმების მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის თანამშრომლობას განათლებისა და კულტურის სფეროში, იმ საქმიანობების განხორციელების მეშვეობით, რომელიც წვლილს შეიტანს ორ ქვეყანას შორის ცოდნის გაღრმავებაში, იმ საერთაშორისო კონვენციების გათვალისწინებით, რომელთა მხარეებსაც წარმოადგენენ ისინი, საერთაშორისო შეთანხმებებითა და მხარეთა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულების დაცვის გზით.

მუხლი II

მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთ ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს შორის თანამშრომლობას ექსპერტთა, პუბლიკაციებისა და მასალის გაცვლისა და შემდგომი ერთობლივი თანამშრომლობის პროექტების შემუშავების გზით.

მუხლი III

მხარეები ითანამშრომლებენ უმაღლესი განათლების სფეროში, თითოეული მხარის საგანმანათლებლო სისტემების სფეროში ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით და წახალისებენ თავიანთ უმაღლეს საგანმანათლებლო, კულტურულ და კვლევით დაწესებულებებს შორის პირდაპირი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას კონკრეტული შეთანხმებების, თანამშრომლობის პროგრამების განხორციელების, ერთობლივ პროექტებში მონაწილეობისა და ექსპერტთა გაცვლის მიზნით.

მუხლი IV

მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტთა გაცვლას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მეშვეობით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორმხრივი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი V

1. მხარეები წახალისებენ თანამშრომლობას ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ ინფორმაციის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას ახალგაზრდობის სფეროში და ხელმისაწვდომს გახდიან ინფორმაციას ახალგაზრდული პროგრამების, კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების, ასევე, ექსპერტების, კვლევებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

3. მხარეები ხელს შეუწყობენ ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დონისძიებების განხორციელებას. ამ მიზნით, მხარეები წახალისებენ ეროვნულ დონეზე ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, ექსპერტების, მწვრთნელებისა და ახალგაზრდობის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

4. მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის, შეხვედრების, კონფერენციების, სასწავლო ვიზიტების და სხვა საქმიანობების განვითარებას. მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას ახალგაზრდულ სფეროში მოქმედ სტრუქტურებს შორის.

მუხლი VI

1. მხარეები წახალისებენ ერთმანეთის ენის, ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის შესწავლას.

2. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ საქმიანობებს, რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდობას გააცნოს ორივე ქვეყნის ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული პოტენციალი.

მუხლი VII

მხარეები წახალისებენ მხატვრულ მანიფესტაციებს ხელოვანთა ჯგუფების გაცვლისა და კულტურულ დონისძიებებსა და პლასტიკის, საშემსრულებლო და მუსიკალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის გზით.

მუხლი VIII

მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობის კავშირებს თავიანთ ეროვნულ საარქივო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, ფოტოგრაფიულ ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს შორის და წახალისებენ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობების გავრცელებასა და შენარჩუნებას, ასევე, უზრუნველყოფენ დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თავიანთი სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად.

მუხლი IX

მხარეები ვალდებულიებას იღებენ, რომ ამოწურავენ მათ ხელთ არსებულ ყველა შესაძლო საშუალებას თითოეული მხარის ტერიტორიიდან უკანონოდ გატანილი დაცული კულტურული საკუთრების დაბრუნების ან რესტიტუციის მიზნით, თავიანთ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და იმ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების თანახმად რომელთა მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.

მუხლი X

მხარეები ხელს შეუწყობენ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ლიტერატურის წარმოების გაუმჯობესებისკენ, მწერალთა გაცვლის, წიგნების ბაზრობებზე, შეხვედრებში მონაწილეობის, თარგმანის და თანა-გამომცემლობის პროექტების განხორციელების გზით. მხარეები ასევე ეცდებიან გააღრმავონ კავშირები თავიანთ გამომცემლობებს შორის ლიტერატურის წარმოების გაზრდის მიზნით.

მუხლი XI

1. მხარეები წახალისებენ საავტორო და სხვა უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას, თავიანთი შესაბამისი ეროვნული სისტემების აღნიშნულ სფეროებში ურთიერთ აღიარების მიზნით.

2. მხარეები სათანადოდ დაიცავენ ლიტერატურულ, დიდაქტიკურ, სამეცნიერო ან მხატვრულ ნაწარმოებებს და უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ ზომასა და პროცედურების განხორციელებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონების დაცვის მიზნით, თავიანთ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და იმ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომელთა მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.

მუხლი XII

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას კინემატოგრაფიის სფეროში ფილმების გაცვლისა და შეხვედრების ორგანიზების გზით, რომელიც განხორციელდება ამ სფეროში მოქმედ კინემატოგრაფისტებს, ექსპერტებსა და ტექნიკოსებს შორის, ასევე, ორივე ქვეყანაში ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით კინოფესტივალებში მონაწილეობის მეშვეობით.

მუხლი XIII

მხარეები წაახალისებენ ინფორმაციის გაცვლას კულტურული ინდუსტრიების შესახებ და ამ სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

მუხლი XIV

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას თავიანთ კომპეტენტურ დაწესებულებებს შორის საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული საქმიანობების განხორციელების მიზნით მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილთან მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღებით ქალებზე, ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ხანდაზმულებსა და მკვიდრ მოსახლეობაზე.

მუხლი XV

1. მხარეები წახალისებენ თანამშრომლობას ორივე ქვეყნის იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოხუცთათვის უზრუნველყონ საგანმანათლებლო, კულტურული, დასვენებისა და რეკრეაციული მომსახურებები.

2. მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას თავიანთ შესაბამის დაწესებულებებს შორის ახალგაზრდობის, რეკრეაციის, ფიზიკური განათლებისა და სპორტის საკითხებზე.

3. მხარეები წახალისებენ დელეგაციების, გუნდების, სპორტსმენების, მწვრთნელების, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტების, ასევე, სამეცნიერო მიღწევების გაცვლას ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში. ისინი ხელს შეუწყობენ ერთობლივი საწარმოების დაარსებას და სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის გაცვლას.

მუხლი XVI

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნების მისაღწევად, მხარეები საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად შეიმუშავენ ორწლიან ან სამწლიან პროგრამებს, ორივე ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, განათლების, კულტურისა და სოციალური განვითარების სფეროებში თავიანთი გეგმებისა და სტრატეგიების საფუძველზე.

2. თითოეული პროგრამა უნდა აზუსტებდეს პროექტის კონკრეტულ მიზანს, თანამშრომლობის ფორმებს, დაფინანსების წყაროებსა და ტექნიკურ რესურსებს, სამუშაო გრაფიკებსა და პროექტების განხორციელების სფეროებს. მათ ასევე უნდა მიუთითონ ვალდებულებები, თითოეული მხარის ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით.

3. თითოეული პროგრამა შეფასდება პერიოდულად, ამ ხელშეკრულების XVIII მუხლით გათვალისწინებული მაკოორდინირებელი ერთეულების მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი XVII

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, განათლებისა და კულტურის სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობა შესაძლოა, განხორციელდეს შემდეგი ფორმით:

- a) კვლევითი პროგრამების ერთობლივი და კოორდინირებული განხორციელების ხელშეწყობა;
- b) პირდაპირი თანამშრომლობის შეთანხმებების გაფორმების ხელშეწყობა ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის;
- c) კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, აკადემიური და სხვა ერთობლივი საქმიანობების ორგანიზების წახალისება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე ქვეყნის რეგიონული და ადგილობრივი ახალგაზრდული დაწესებულებებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ექსპერტები, წარმომადგენლები;
- d) ექსპერტების, პროფესორების, მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის ხელშეწყობა;
- e) ნაცვალგების პრინციპზე, გამოკვლეულ იქნეს შესაძლებლობები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სტიპენდიების გამოყოფის თაობაზე;
- f) მხარეების მიერ თანამშრომლობა მხარეების ქვეყანაში მიღებული ხარისხის, სერთიფიკატებისა და სასწავლო პროცესის აღიარების თაობაზე;
- g) მწერლების, ხელოვანების, სოლისტებისა და მხატვრული ჯგუფების, ასევე, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში ექსპერტების უზრუნველყოფა და მიღება მხატვრული განათლების გამოცდილების გაცვლის მიზნით;
- h) ორივე ქვეყანაში გამართულ კულტურულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალებში, ასევე, წიგნის ბაზრობებსა და ლიტერატურულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
- i) ერთი მხარის ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლის გამოფენების ორგანიზება და პრეზენტაცია მეორე ქვეყანაში;
- j) თითოეული ქვეყნის ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა და თანა-გამოქვეყნება;

- k) კონკრეტული პროექტების განხორციელებისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო მასალების უზრუნველყოფა ან მიღება;
- l) საგანმანათლებლო და კულტურული გამოყენებისთვის გამიზნული აუდიო-ვიზუალური მასალებისა და რადიო და სატელევიზიო პროგრამების მიწოდება ან მიღება;
- m) ფილმებისა და მსგავსი მასალების უზრუნველყოფა ან მიღება თითოეულ ქვეყანაში ორგანიზებულ კინოფესტივალებში მონაწილეობის მიღების მიზნებისთვის;
- n) სპორტული მასალების უზრუნველყოფა ან მიღება საგანმანათლებლო მიზნებისთვის;
- o) საინფორმაციო, ბიბლიოგრაფიული და დოკუმენტური მასალის უზრუნველყოფა ან მიღება განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში;
- p) განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება მესამე ქვეყნებში, და
- q) ნებისმიერი სხვა ფორმის საქმიანობის განხორციელება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი XVIII

1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის შემდგომი ქმედებების განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით, შეიქმნება შერეული კომისია განათლებისა და კულტურის საკითხებზე. აღნიშნული კომისიის საქმიანობის კოორდინაცია განხორციელდება შესაბამისი საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ, შედგება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებისგან და შეიკრიბება, მონაცვლეობით, მექსიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში, დიპლომატიური არხების მეშვეობით მხარეებს შორის შეთანხმებულ დღეს. შერეული კომისიის ფუნქციებია:

- a) განათლების, კულტურის, ხელოვნების, ახალგაზრდობის, ფიზკულტურისა და სპორტის, როგორც პრიორიტეტულ სფეროებში კონკრეტული თანამშრომლობის პროექტების სავარაუდო განხორციელების შეფასება და განსაზღვრა;

- b) განათლების, კულტურის, ხელოვნების, ახალგაზრდობის, ფიზკულტურისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის პროგრამების ანალიზი, მიმოხილვა, დამტკიცება, მონიტორინგი და შეფასება;
- c) წინამდებარე შეთანხმების სათანადო ფუნქციონირების კონტროლი, ასევე, შეთანხმებული პროექტების შესრულება, მათი დასრულების მიზნით საშუალებების მოძიება მათი მოქმედების პერიოდის განმავლობაში;
- d) იმ ადმინისტრაციული და ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის გზების შეთავაზება, რაც შესაძლოა, წამოიჭრას წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას, და
- e) მხარეებისათვის საჭირო რეკომენდაციების წარდგენა.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, თითოეულ მხარეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია მეორე მხარეს წარუდგინოს კონკრეტული თანამშრომლობის პროექტი განათლების, კულტურის, ხელოვნების, ახალგაზრდობის, ფიზკულტურისა და სპორტისა და სხვა მსგავს სფეროებში შერეული კომისიის მიერ აღნიშნული პროექტების შესწავლისა და შემდგომი დამტკიცების მიზნით.

მუხლი XIX

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით შეიძლება მოითხოვონ ფინანსური დახმარება გარე წყაროებიდან, როგორცაა, საერთაშორისო ორგანიზაციები და მესამე ქვეყნები.

მუხლი XX

მონაწილეების მობილობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არიან ჩართულები წინამდებარე შეთანხმებიდან წარმოქმნილ თანამშრომლობის პროგრამებში, განისაზღვრება მხარეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად და თანხმდება დამოუკიდებლად. ასეთი მონაწილეები დაექვემდებარებიან მიმღები ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას და დატოვებენ მიმღებ ქვეყანას მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XXI

თავიანთ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეები უზრუნველყოფენ ყველა ადმინისტრაციულ, საგადასახადო და საბაჟო პირობების შესრულებას, რაც აუცილებელია პროექტის შესრულებისათვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების მათ ტერიტორიაზე შემოტანისა და გატანისთვის.

მუხლი XXII

წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეებს შორის მოლაპარაკებების ან/და კონსულტაციების გზით.

მუხლი XXIII

მხარეების წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე შეთანხმებაში ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს შეტანილი ცვლილებები და დამატებები. ისინი გაფორმდება ცალკე ოქმის სახით, რომელიც შეადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს, და ძალაში შევა XXIV მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი XXIV

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მხარეთა მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ, დიპლომატიური არხების მეშვეობით, უკანასკნელი შეტყობინების მიღების დღიდან ოცდაათი (30) დღის შემდეგ.

წინამდებარე შეთანხმება იდება ხუთი (5) წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება იგივე პერიოდებით. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება, მეორე მხარისთვის, შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, დიპლომატიური არხების მეშვეობით, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. შეთანხმება მოქმედებას წყვეტს მეორე მხარის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ.

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს შეთანხმების ძალაში ყოფნის განმავლობაში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების დასრულებაზე.

ხელმოწერილია ქ. მეხიკოში, ორი ათას ოცდაორი წლის ოცდასამ აგვისტოს, ორ დედნად, თითოეული ესპანურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე; ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

მექსიკის შეერთებული შტატების
მთავრობის სახელით

მარსელო ლუის ებრარდ კასაუბონი
საგარეო საქმეთა მინისტრი

საქართველოს მთავრობის სახელით

ზაზა გაბუნია
საქართველოს საგანგებო და
სრულუფლებიანი ელჩი